

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის  
ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дрозда“

**გაუმთიის უბანი:** მთელი წელიწადი — 8 მ., ნახევარი წლისა — 5 მ., სამთის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

მადეკე ნომეჩი დირს შაჟრად.

უკველ დღე ორშაბათს გავდა.

ფასი განცხადებისა: დღიური 1000-

1.  $\frac{1}{2}$   $\frac{1}{3}$   $\frac{1}{4}$   $\frac{1}{5}$   $\frac{1}{6}$   $\frac{1}{7}$   $\frac{1}{8}$   $\frac{1}{9}$   $\frac{1}{10}$   $\frac{1}{11}$   $\frac{1}{12}$   $\frac{1}{13}$   $\frac{1}{14}$   $\frac{1}{15}$   $\frac{1}{16}$   $\frac{1}{17}$   $\frac{1}{18}$   $\frac{1}{19}$   $\frac{1}{20}$   $\frac{1}{21}$   $\frac{1}{22}$   $\frac{1}{23}$   $\frac{1}{24}$   $\frac{1}{25}$   $\frac{1}{26}$   $\frac{1}{27}$   $\frac{1}{28}$   $\frac{1}{29}$   $\frac{1}{30}$   $\frac{1}{31}$   $\frac{1}{32}$   $\frac{1}{33}$   $\frac{1}{34}$   $\frac{1}{35}$   $\frac{1}{36}$   $\frac{1}{37}$   $\frac{1}{38}$   $\frac{1}{39}$   $\frac{1}{40}$   $\frac{1}{41}$   $\frac{1}{42}$   $\frac{1}{43}$   $\frac{1}{44}$   $\frac{1}{45}$   $\frac{1}{46}$   $\frac{1}{47}$   $\frac{1}{48}$   $\frac{1}{49}$   $\frac{1}{50}$   $\frac{1}{51}$   $\frac{1}{52}$   $\frac{1}{53}$   $\frac{1}{54}$   $\frac{1}{55}$   $\frac{1}{56}$   $\frac{1}{57}$   $\frac{1}{58}$   $\frac{1}{59}$   $\frac{1}{60}$   $\frac{1}{61}$   $\frac{1}{62}$   $\frac{1}{63}$   $\frac{1}{64}$   $\frac{1}{65}$   $\frac{1}{66}$   $\frac{1}{67}$   $\frac{1}{68}$   $\frac{1}{69}$   $\frac{1}{70}$   $\frac{1}{71}$   $\frac{1}{72}$   $\frac{1}{73}$   $\frac{1}{74}$   $\frac{1}{75}$   $\frac{1}{76}$   $\frac{1}{77}$   $\frac{1}{78}$   $\frac{1}{79}$   $\frac{1}{80}$   $\frac{1}{81}$   $\frac{1}{82}$   $\frac{1}{83}$   $\frac{1}{84}$   $\frac{1}{85}$   $\frac{1}{86}$   $\frac{1}{87}$   $\frac{1}{88}$   $\frac{1}{89}$   $\frac{1}{90}$   $\frac{1}{91}$   $\frac{1}{92}$   $\frac{1}{93}$   $\frac{1}{94}$   $\frac{1}{95}$   $\frac{1}{96}$   $\frac{1}{97}$   $\frac{1}{98}$   $\frac{1}{99}$   $\frac{1}{100}$

ჩემი დაქვნი უფლებები გავ  
სწოროს. ღ. შენიგოლის დასაბუღდათ  
განმარტონიონ სტატეტი. ღაუბე ღდ  
სტატეტი ვტოროს არ დაუბრუნ  
ება.

ცალკე ნომერი ღირს შეყრადა.

დღესასწაულების მიზების გამო-  
უმადობი ნომერი „დროებისა“ გა-  
მოვა შაბათს, 1 ენკენისთვის.

რეობაში დასამყარებლათ განსაკუთრებით შრომის მიღებისათვის.

პატარაშვილი, 25 აგვისტოს. ზუშინ  
მთელი დღე საშინელი ქარიშხალი იყო,  
მღ. ნევიდამ წყალი რამოდენიმე ალაგას  
ნაპირებიდან გაღმოვიდა და მრავალი  
უბედურება მოახდინა, განსაკუთრებით  
მღაბლობ ადგილებზედ; საღამოს ექვსი  
საათის შემდეგ წყალმა იკლო და ქარი  
ჩადა.

პარიჟი, 24 აგვისტო-ს. (6 სექტემბერს).  
 აქ მოვიდნენ მანევრაზედ ღენერლები  
 მბრუნჭი და ძლინმხილი.

ლონდონი, 25 აგვისტოს. (7 სექტემბერს). სიმლიდამ 24 აგვისტოს აცნობებენ, რომ ინგლისის ელჩებს ქაბულში დაეცნენ აფგანის პოლკის მხრით აჯანყებულები, რომელნიც თხოულობდნენ დაკლებულ ჯაშაგირს; ამათ შეუერთდნენ ქალაქის მცხოვრებლები. მმირი ცდილობდა აჯანყების დამშვიდებას: ამ მიზნით იმან გაგზავნა თავისი შეილა და სხვა რამოდენიმე პირნი; მაგრამ აჯანყებულნი არ დაწყნარდნენ და თითონ ემირს გარს შემოერტყნენ ინსურგენტები.

სალამოს გაჩნდა ცეცხლი. მაიორის  
ძაენიარის და ინგლისის ელჩის მდგო-  
მარეობა ჯერაც არ იციან. ინგლისის  
ჯარებს პაბულისკენ წასვლის ბრძანება  
მიეცათ; ეს ჯარები აელანისტანის სამ-  
ზღვრებზედ ღებთანა

პეტერბურლი, 25 აგვისტოს. მდინარე  
ნეჟამ დაიკლო, კალაპოტში ჯდება.

მდებსა, 25 აგვისტოს. ხელმოწიფე იმ-  
პერატორი მობრძანდა აქ ოთხ საათზედ  
ნაშუადღევს, ნახა სობორი, დაათვალიე-  
რა ჯარები და 7 საათზედ ინება იალ-  
ტაში წაბრძანება.

ნიჰნი-ნოვოროდნი, 25 აგვისტოს  
დღეს, შემდეგ სამადლობელის გარდა  
დისა, ბაირაღები ჩამოეშვა და იარმუ  
კობა ოფიციალურად გათავდა.

მინა, 25 აგვისტოს. სარაევოლამ აც  
ნობებენ ზერცოგოვინაში, რომ შირ  
ტემბერლიის გერცოლი დღეს წავიდ  
ძაინაში სახელმძღვანელოდ ავსტრიის  
ჯარების ნოვობაზარის სანჯაყში შესვლი  
სა, რომელიც 8 სექტემბერს მოხდება

პრონუბადი, 26 აგვისტოს. 24 აგ-  
ვისტოს აქ ქარიხაღმა მრავალი უმე-  
ლოზობა და ზარალი მოახდინა.

პეტერბურლის ბირჟა, 25 აგვისტოს.

(ხაღბთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები: მან. კაპ.

|                      |   |       |
|----------------------|---|-------|
| პირველი გამოცემის    | — | 94—50 |
| მეორე — — —          | — | 93—75 |
| მესამეი — — —        | — | 93—75 |
| მეოთხესი — — —       | — | 93—50 |
| აღმოსავლეთის პირ.    | — | 92—25 |
| აღმოსავლეთის მეორე   | — | 92—13 |
| აღმოსავლეთის, მესამე | — | „ — „ |
| მ. პრ. № იმპერიალი   | — | 7—86  |

თფილ. თავად-აზნ. ბანკის  
გირაოს ფურცელი — „—“  
შინაგანი 5% სესხის ბილეთები

პირველი სესხის — — 234—68  
მეორე სესხის — — 233—75

1 მანეთი ღირს:

|                    |       |        |          |
|--------------------|-------|--------|----------|
| ლონდონი            | — —   | 25—6   | პენსი    |
| ბამბუროლი          | — —   | 127—   | „ ცენტრი |
| პარიჟი             | — —   | 264—75 | სანტიმი  |
| მენა               | — — — | 214—25 | პფენიგი  |
| ტაგკასიის კერასინი | — — — |        |          |

# სამართლები

დღიური

\* \* \* "თბილისის მოამბის" სიტყვით  
მომადლო 18:0 წლის 1 იანვრიდან  
შეიღო ახალი სამაზრო ხაზინა გაიხსნე-  
ბა; ამათში სამი თბილისის გუბერნიაში:  
ძალაქ ახალქალაქში, სოფ. შულავერში  
და სოფ. თიანეთში, დანარჩენები კი სხვა  
გუბერნიებში.

\* \* \* ამავე გაზეთის სწერენ ზორის მან-  
რილამ: „აგერ თითქმის ერთ კვირაზედ  
მეტია, მტკვრის გაღმა-გამოღმა ნაპირე-  
ბისკენ აქა-იქა იწვის, ცალი მხრით თ  
ციციშვილების ტყე, ძორეთისა და ზე-  
მო-ხედურეთის ხეობაში და სს. ხცისის  
და შრომის მახლობლად, სადაც უმეტეს  
ნაწილად, კარგი საშენებელი ხეებია—

რედაქციის სოლოლაკზე, ბაღის  
ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქ-  
ციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: Вх  
Тифлисе. Вх редакцию „Дრობა“.

გაზეთის ფასი: მთელი წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამეფო  
მისთვის — 3 მ., ერთს თვისა — 1 მ.

სადკე ნომერი ღირს მაურად.

---

დღესასწაულების მიზეზის გამო  
შემდეგი ნომერი „დროებისა“ გა-  
მოვა შაბათს, 1 ენკანისთვეს.

---

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

**„დროებაზე“**

მიიღება რედაქციაში — ბაღის (სად-  
ვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში,  
№ 33

შალაქს გარეშე მსხვერვლთა ამ აღ-  
რისით უნდა დაიბარონ გაზეთი: Вѣст-  
никъ. Въ редакцію газ. „Дрозда“.  
უასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი.  
1 იელსილამ წლის დამღევამდინ, გაგ-  
ზავნით—ხუთი მანეთი.

# ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ალექსანდროვო, 24 აგვისტოს. გერ-  
მანიის იმპერატორი დღეს 12<sup>1</sup>/<sub>2</sub> სათ-  
წედ გავიდა ალექსანდროვოდაც ქენიგს-  
ბერლიში. ხელმწიფე იმპერატორმა გაია-  
რა მარშაფაზედ და ბრესტ-ლიტოვსკზედ.  
დიდნი მთავარნი სერგი და პავლე ალექ-  
სანდრეს ძენი გაემგზავრნენ სამზღვარ  
გარეთ და დიმიტრი ძონსტანტინეს ძე—  
პეტერბურლიში.

ბრძოლი, 25 აგვისტოს. ღღეს ხელმწიფე იმპერატორი მობრძანდა აქ ნაშვადღევის ორ საათზედ; ღამე გაატარა ვაგონში, დილით დათვალიერა ჯარები და თერთმეტ საათზედ წაბრძანდა ოდესაში. მარშავის ღენერალ-ლუბერნატორი პოცებს გამოეცხადა უმაღლესი რესკრიპტით გულისთადი მაღლობა მაშულისა და ტახტის მრავალ ქამიერ და ერთგულ სამსახურისთვის.

ხელმოწიფე იმპერატორი შმალდეს  
მადლობას უცხადებს ქაევასიის ნამესტ  
ნიკის თანაშემწეს თავადს სვიატოპოლკ  
მირსკის მისი იმპერატორებითი შმალ  
დესობის, ქაევასიის ნამესტნიკის სხვაგა  
მყოფობის დროს ქაევასიის მხრის მშვე  
ნიერად მმართვეისათვის და მსმალლოსაგა  
ახლად შეძენილი ქვეყნების მოსაწყობ  
ლად და არმიის მშვიდობიან მდგომ





ფიჭვი, ნაძვი და წიფელა და მეორე მხრივ თ. შალაგანდისეილებსა და ამირეჯიბის ტყეები იწვის. ცეცხლის მიზეზი ვერ გაუგიათ“.

\* \* \* ბაზეთ „საეკაზში“ ეკითხულობთ, რომ 25 აგვისტოს, ღამით, თბილისი-დამ მლადიკავკაზში მიმავალ ფორტას, ექვს ვერსზედ მლადიკავკაზიდან დაეცნენ და გაქარცვეს; მოჰქლეს ფორტალიონი და დასტყრეს ყაზახი, რომელიც ფორტაგედ უჯდა; 23 აგვისტოს ამგვართვე დაეცნენ ასტრახანიდან მიმავალ ფორტას და მოჰქლეს ფორტალიონი და ქუჩერი“.

\* \* \* ბუშინ წინ, ორშაბათს, თითქმის მთელი დღე და გუშინ ღამ თბილისში კარგი ღამათიანი წვიმა იყო. ამ წვიმამ ცოტათი გააგრილა აქაური ცხელი ჰაერი და დასტყვნა ის მტვერი და ნაგავი, რომელიც აქ ქუჩებში მუხლზედ მოგადგებოდათ და ნიავის ღროს თვალების გახელა არ შეგეძლოთ.

\* \* \* ბორჯუნი პირნი ამბობენ—მაგრამ ჩვენ კი არ შეგვიძლია სინამდვილეში დაეთანხმდეთ,—რომ ჩვენმა მოგზაურმა ტრუპამ ამ ზაფხულს სხვა-დასხვა ქალაქებში წარმოდგენებით სამი ათასი მანეთი აიღეს და შესჭამესო.

„ღმერთმა ღელის რძესავით შეარგოსთო“, გვწერენ: „მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, რომ მკითხველი საზოგადოებისათვის ეცნობებინათ დაახლოვებით მაინც შემოსავალ-გასავალი და უფრო კარგი იქნებოდა, ერთი რაიმე კეთილი საქმისთვის გადაედოთ რამოდენიმე კაპეიკო“.

\* \* \* 12 ამ თვეს, ღამით აქ, გამომძი-

ებელის სასამართლოში ქურდებმა მოიპარეს თუთხმეტზედ მეტი გაძოსადიებელი საქმეები და რამოდენიმე ნივთები (вещественные доказательства); დამნაშავე ვერ მოიპარეს და პოლიციამ გამოძიება შეარდგინა, გვწერენ ზუგდიდ-დამ.

\* \* \* თბილისის ლუბერნიის სახალხო შკოლების დირექცია სთხოვს იმ ბავშვების მშობლებს, აპეკუნებს და ნათესავებს, რომლებიც საცხენისის სასწავლებელში ირიცხებიან პანსიონერებად და რომელიც იღებენ დროებით ფულებს ხაზინიდან, დაუგვიანებლად წაიყვანონ ისინი საცხენისში, რადგანაც აქაური სასწავლებელი პანსიონითურთ თელავი-დამ ისევ საცხენისში გარდაიტანეს, სადაც 1 სექტემბრიდან დაიწყება სწავლა. იმ პანსიონერებს, რომლებიც ამ წლის 1 ოქტომბრამდე (დღინობისთვემდე) არ გამოცხადდებიან სასწავლებელში, მოესპობათ ფულების ძლევა.

რომლებთაც არ შეუძლიანთ გადახედ სასწავლებელში მისვლა ავთმოფობის, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, ვალდებული არიან სასწავლებლის ზედამხედველს წარუდგინონ მოწმობა დოქტორისა, ან ადგილობრივი პოლიციისა არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა.

### „დროების“ კორექსიონდანი

მცხეთიდან, 19 აგვისტოს. უფ. რედაქტორო! იმედი მაქვს, რომ ამ წერილს თქვენს „დროებაში“ ალავს დაუთმობთ:

## ფელტონი

გამაჰმადიანებულ სამართვლოში (\* (მგზავრის შენიშვნები პრთვინიდან პრდანუჯამინ)

პრდანუჟში ვართ. პრდანუჟზედ ბევრი რამ უღოპარაკნია „დროების“ კორრესპონდენტს, ბავრელს, მაგრამ მეტი არ იქნება, გაკვრით მაინც გადავავლოთ თვალი ამ პაწაწკინტელა ქალაქს.

პრტანუჟის, მართლა ქალაქს უძახიან, მაგრამ მას ცნეს სახელი არ შემეგნის.

მს ძრიელ პატარაა: ბევრი, ბევრი 200 კომლი იდგეს, მეტი არა. მაჭრობა ისე არ არის გაძრიელებული, როგორც სხვა ახლო-მახლო ქალაქებში ვხედავთ, მაგ. პრთვინში. მაჭრების რიცხვი მცირეა. მართი სიტყვით ვერაფერი ნიშნებს ვერ იპოვნით, რომლითაც შეიძლება დგეს ამას „ქალაქი“ უწოდოთ.

პრდანუჟი დგას ერთ პატარა მოტიტვლებულ გვერდაზედ, რომელსაც ზევიდან დაჰყურებს ღირს შესანიშნავი

ისტორიკოსისათვის ციხე. ამ ციხეს არსაიღვან არ ჰქონია შესასვლელი კარები. იმ მაღალი კიბე არა, კაცს გაუჭირდება იქ ასვლა. მე და სხვები ჩემთან ეცდილობდით რივიანად გაგვეშინჯა ეს ციხე, მაგრამ სურვილი ისევ სურვილათ დარჩა: მართა გარეგან ნაწილებს გადავავლეთ თვალი და შევნიშნეთ, რომ ციხეს თოფის სასროლი ნახევრეები არა ჰქონია. მტყობა ეს ციხე მაშინ არის აშენებული, როცა საქართველოში სასროლი იარაღი ხმარებაში არა ყოფილა. შიგნით უფრო ბევრი რამ ღირს-შესანიშნავი ჰყოფილა, მაგრამ ვერ მივსწვდით მის განხილვას!

მს ქალაქი, ანუ დაბა დაჰყურებს ერთ პატარა მდინარეს „პრდანუჟის“, რომელიც ორივე მხრით გამოფულრული კლდეებით არის შემოზღუდული. მრთ გამოფულრულ კლდეში შევედით ჩვენ და მართლა რომ კარგი რამ არის: შეხვალთ თუ არა, თვალ-წინ გაგეჭიმებათ ერთი უშველებელი, გაგრძელებული დარბაზის მზგავსება, რომელიც ეხლა საქონლის შეიდნად გამხდარა: კარების პირ-და-პირ ამ დარბაზს ერთი გადასახე-

მე მურს მოგახსენოთ, რა რეზულტატი-ტყვა მსცეთის ეკლესიების მესაზღვრე, რომლებიც ამ ქაშად თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან.

სვეტი-ცხოვლის ეკლესიის ნივთები აქ ამ ქაშად დატულია ისე, როგორც ამ რამდენიმე წლების წინეთ ინახებოდნენ; აგრეთვე მტკიცეთ დატულია ძველი ხელთ-ნაწერი წიგნების ბიბლიოთეკა, დატულია ისე, როგორც 1835 წელში დარჩენილა. არ შეიძლება, რომ ამაში ამავე ღირს სახსოვარი ეკლესიის მღვდელს უფულოთადესი მადლობა არ განუცხადოთ, რადგანაც სასტიკათ აქეს ყურადღება მიქცეული ამ გვარ საქმეზედ. აქ ისევ ისე დარჩენილი ანტონ კათალიკოზის და ღომენტი კათალიკოზის ქამეპი და მრავალი სამოღვაწეო; აქ დატულია მეფე მრეკლესაგან შეწირული ოქროს ბარძიმი, რომელიც არა ნაკლებ 5,000 მანეთისა ღირს. აქ დატულია კიდევ სხვა-და-სხვა მრავალი ძვირფასი ნივთები. აქ ასაფლავია მახტანგ ბორგასლანი, რომელიც ახლა ნამდვილათ დამტკიცდა „მართლს ცხოვრების“ თქმითა, მხოლოდ დამტკიცებულია ოთხათ; როგორც გვითხრეს, ძველათ ალა-მამადხანი რომ შესულა, ამისი ცხენი შემდგარა და ფეხებით ჩატეხნია ისა.

აქ ასაფლავია მეფე ირაკლი და მეფე ბიორგი. სასაფლავო მარმარილოს ქვით არის გაკეთებული ჩვენი საქართველოს უკანასკნელი კათალიკოზის პატრიარქის ანტონის მიერ, დავითიან ბაგრატიონისა, რომლის საფლავის ქვა მისმა მოწაფემ, მარლამ მარსთის შეილმა გააკეთებინა ზედ წარწერით, ეპიტაფიით, მაგრამ ესეც შეუძურსავეს დროთა-ვითარებას და ეპიტაფია ძლივს და სჩანს. საქართველოს უკანასკნელს მეფეებზე კი რუსულათ აწერია საფლავის ქვებზე.

დი. აქეს უფსკრულისკენ. აქედან მშვენიერათა სჩანს სხვა გამოფულრული კლდეებიცა.

ამ გამოფულრულის ზევით ნაწილში მშვენიერი ოთახები სჩანდა. — შესასვლელი კი არის იმ ოთახში, მაგრამ ისე მაღლაა, რომ უკიბოთ მაინც ვერ შევა კაცი. ზევითაც კარების პირდაპირ გზას რომ მიჰყევთ, ერთ უფსკრულს გადაჰხედავთ და ამ გადასახედის პირ-და-პირ გასავალია ქალაქისკენ, რომელსაც უკან მხარეს უფრო ოღრუ-ჩოღრუ მდებარება აქვს; წინ კი, შემონათქვამი კლდეების გარდა, გაშლილი ალაგია, რომელიც მოდებულია სოფლებით.

მცხოვრებლები ამ სოფლებში გამაჰმადიანებული ქართველები არიან, ქართული ღაპარაკი სრულებით არ იციან, მაგრამ ქართველებიდან ჩამომავლობა კი ძალიან კარგათ ახსოვსთ; იციან აგრეთვე ისიც, რომ სამი საუკუნეა, რაც გათათრდნენ იგინი.

პრდანუჟის მცხოვრებლებს შიგ ქალაქში არ აქვსო პრთვინსაებრ მოდებულ ვენახები (?), ბოსტნეულობა. მოსა-





განცხადებანი

მამოვიდა და ისყიდება „ძაგუზიის წიგნის ვაჭრობაში“, უ. ზირიჭურავის წიგნის მაღაზიაში პირველ დასაწყისი კურსი რუსული ენისა მართველ-თათვის,

შედგენილი

ზ. ძალანდარიშვილის მიერ.

მეექვსე გამოცემა, გადასწორებული და დამატებული,

იაკობ ზოგებაშვილისაგან.

ფასი ათი შაური

ვინც ერთად იყიდის არა ნაკლებ ოცი ეკზემპლარი, წიგნი დაეთმო-ბა ცხრა შაურათ. ვინც ორმოც-და-ათზე მეტს იყიდის—ეკზემპლარი მიეცემა ორ აბაზათ.

(6—3)

საშაფვილო ბალი

და

ელემენტარული ზოგადი.

სოლოლაკზედ, მელოამინოვის ქუჩა-ზედ, თ. ამბატუნის სახლებში

მიღება და ეკზემპლები მოსწავლე ქალ-ვაჟთა დაიყება 20 აგვისტოს; სწავ-ლა დაიწყება 3 სექტემბერს 1879 წ.

ბევრი რამ შემომჩივლეს ბედისაგან და უფრო ჩინოვნიკებისაგან დაჩაგრულ-მა ხალხმა (თათრებმა) ხარჯის აღებაზე-დაც, მაგრამ ვერაფერს ვიტყვი, „პირი წყლითა მაქვს საფე“.

აქაური თათრები სრულებით არ წა-გვანან ზორობის სეობის ქართველ—თათ-რებს. იგინი უფრო ოსმალოებს დამს-გავსებენ. მაღებს კი ძალიან წმინდათ შეუნახეთ ქართული ტიპი. აქაური სომხებიც არა გვანან ართვინელ სომ-ხებსა. ართვინელი სომხების დედაკაცის და მამაკაცის სილამაზე დაუფასებელია; არღანუჯელი სომხები, თუ არა ესცთე-ბი, სახის მოწყობილობით ახალციხელ სომხებს წაგვანან.

აქაურ თათრებს უფრო ფანატიკური შეხედულება აქვს საზოგადო ქრისტი-ანებზედ. ამათი ჭურჭლით რომ ქრის-ტიანმა წყალი დალიოს, ის ჭურჭელი წარეულათ ითვლება და ამტრებენ.

ა. ნ—ძ.

პრდნუში, 25 აგვისტოს.

მკლესიაში ინახება ერთი ძვირფასი და ყურადღების მისაქცევი ძველი გარ-დამოხსნა, რომელიც შეკერილია მწვანე ხავერდზე ოქრომკედით მეთექვსმეტე საუკუნეში.

მა გარდამოხსნა ერთ ღროს სპარსეთ-შიაც ჰქონიათ წაღებული: როდესაც შიინი შესულა მცხეთაში, გამოუტანიათ და მის ცხენზედ გადაუფარებიათ და ისე წაუღიათ სპარსეთში. შემდეგ ამისა სპარ-სეთში ჭირი და შიმშილი გაჩენილა. შიინს ჯაღა-ბაზებისთვის და მოღების-თვის უკითხვინებია, თუ ეს რა უბედუ-რება არისო; რომ სპარსეთის ხალხს შიმშილი და ჭირი ერთსა და იმავე ღროს დაგვატყდაო!

მოღებს უკითხავთ და მოუხსენებიათ შიინისთვის, რომ, ღიდებული თქვენ უეჭველათ საქართველოდამ რამე წმიდა ნივთი უნდა გქონდესთო და, თუ გაქვსთ, გაგზავნეთ იმავე ადგილას, საი-დამაც წამოიღეთო. მა მართლა შიინს ეს გარდამოხსნა აქ გამოუგზავნია ღიდის საჩუქრითა, რომელიც ამ ჟამადაც ინა-ხება აქ.

მს გარდამოხსნა პეტერბურგშიაც ჰყოფილა გაგზავნილი და ახლა კი იმის-თვის კუბოს საჭიროებენ და ეკლესიას კი შეძლება არა აქვს, რომ გაუკეთოს. ამ გარდამოხსნაზე ხუტურათ ნაწერე-ბია და ჯერაც გაუფუჭებლად არის შე-ნახული.

მკლესია კი გულ-საკლავათ არის წამ-ხლარი. შოველ ქართველ კაცს გული აუღუღდება და, უეჭველია, ღრმა შთა-ბეჭდილებას მოახდენს ამისი ნახვა.

მსევე ბედი სდევნის ამავე სოფელში ღედათა მონასტერს: მაღლიდგან სამ-

წუხაროთ, წვიმა ჩადის და აფუქებს ყვი-თელი ქვით ნაშენს ეკლესიის კედლებს. აქ სრულიად შემუსვრილა მირიან მე-ფის და ნანა დედოფლის საფლავი, არ-ხივისკოპოზის, ნეაფიტ შიზნელს სურათი. მაგრამ მაინც დიდი მადლობა ეკუთვნის ამ ღედათა მონასტრის წი-ნამძღომელს ამილახვრის ასულსა, რომელსაც დიდი ყურადღება აქვს მიქცე-ული.

აქედამ მისს მაღალ ყოვლად უსამ-ღედლოესობას, მგზარხოსს საქალგო სასწავლებელი თბილისში გადმოუტანია, ასე რომ ამ სექტემბრის დამდეგს იქ სწავლა აღარ იქნება.

მსეც ერთი სასიამოვნო და სასიხა-რულო ამბავი!

ამ ეკლესიაში იხილება ახლათ შე-წირული ხატი მოსკოვიდამ იოვანე ბა-ტონიშვილისაგან.

ძალიან კარგი იქნება, რომ ამ სამ-წუხარო საქმეებს საზოგადოებამ ყურა-დღება მიაქციოს, და არ შეიმუხროს ეს ჩვენი ძველი, მამა-პაპეული საღვური, რომელსაც მრავალი საუკუნოვანი გა-მოუვლია და მრავალი შავი ღლეების მომსწრენიც ჰყოფილან.

ზ. მთაწმინდელი.

ვალიც, არა მგონია, რომ აქ კარგი იცოდეს!

ძალაქს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ სიცხისაგან ზაფხულ-გაზაფხულ კაცს სუნთქვა უჭირდება; ამ ღროებში კაცს გარეთ არ გამოცესლება სიცხის გამო. ღლით რომ მოხვიდეთ აქ ამდროს, ვე-რაფის ვერ დაინახავთ კარზედ, გეგონებათ ეს ქალაქი გაოხრებულიაო, ღამეები კი მშვენიერი იცის, რომელიც გამოიპატი-ვებს ხოლივ ხალხს გარეთ.

ღიდი აყალ-მაყალი, ჩხუბი შეუღე-ბათ ხოლმე ხანდის-ხან სომხებს და თათ-რებს.

წინათ სომხები—ქრისტიანები რომ თათრების ხელში იყვნენ, ადგილობრივ ადმინისტრაციას საშინლად დაუჩაგრავს თურმე ოსმალოს ვაშკეტები (ჩინოვნი-კები): როგორათაც ძალღს, ისე არ ინ-დობდნენ იმათ. მხოლოდ კი ბურთი და მე-იღანი სომხებს ღარჩათ.

—მაშკეტათაც და მწერლობათაც სომ-ხები არის, ძიავ! მართი გურჯაი არა გყავს, რომ შეეჩივლოთ რამე გაბედ-ვით! აბა რა გქნათ? ღაგვიბრიყვებენ სომხები, მარა იქნება, ჩემო ძიავ! მით-

ხრა ერთმა თათარმა.

სხვა ბევრისგანაც გავიგონე, რომ სომხებს (ქრისტიანებს) კავშირი შეუღ-გენიათ საწყალი ხალხის წინააღმდეგ.

ამ პატარა უჩინტკაში ერთ პატიოსან ქართველს, ან რუსს ჩინოვნიკს ვერა ჰნახამ სულ ახალციხელი ვაჭრები არი-ან ჩინოვნიკებათ. ასე გაშინჯეთ, ესენი თათრებს, რომლებიც უფრო გამოც-დილები და პატიოსნები არიან სომხებ-ზედ, ზაფთიობასაც (დესეტნიკი, ჟანდარ-მი) არ აძლევენ. აბა რა უნდა ჰქნას, საწყალმა და დაჩაგრულმა თათრებმა? ძირითაც არ აძვრევენ, მაშინვე ხელს უფროსებისკენ მიიშვერენ!

მართხელ, მე თვითონ დამსწრე ვიყავი, როცა ერთმა თათარმა სოფლიდგან მო-იტანა ხილი გასასყიდათ, შემოგვხვივნენ სომხები და კბილების კრაჭუნით ეუბ-ნებოდნენ:

—ოფათ მოგვიღე, თორემ, ხო-იცო, აგე (ხელი ერთ პირისკენ მიი-შვირა), იმას ვეტყვითო.

მა პირი უცხო ვინმე იყო,—პატიოს-ნებამ დასძალა მას და ერთი რიგინად გამოლანძლა ის გათამამებული სომხები!



Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Августъ 1879 г. Типографія Меликова. ზაზომც. ს. მელიქიშვილი. ზედ. ს. მესხი.